

1940

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
საბიბლიოთეკო

თქტომბრელი



1940 წ.

14

ოქტომბრული

№ 4
აპრილი
1940 წ.



ბამოცხელოზა „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-61

სამართმელოს ა. ლ. კ. კ. ციკას და სპ. ბანსაქომის ერთოვიური ორბანო
„Октомбrellи“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

შპს შინაარსი

	83-
1. ლენინი,—წერილი	1
✓ 2. ვარლამ შურუღლი,—სედოვი (ლექსი)	3
3. თამარ ბურუღლი,—თაენება (მოთბრობა)	4
4. ფარისო ერთელისვილი,—წერილი ძია მოლოტოვის (ლექსი)	6
5. ილიკო აბაშიძე,—მუსიკალური ოჯახი	6
✓ 6. კ. გოგიაშვილი,—თინიკოს მშალი (ლექსი)	9
7. დავით შამთავა,—ყაყაო (ზღაპარი)	11
8. ირაკლი აბაშიძე,—ჩვენებური მწერები (ლექსები)	14
9. ლეო ჩაღუნელი—ილია სიხარულიძე (წერილი)	15
10. ბ. მართვილიშვილი,—ორი ბოთლი, ირლანდიური ზღაპარი, თარგმანი ინგლისურიდან	16
11. გასართობი გარეკანის მე-4 გვ.	

ქურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ—ი. ქოქიაშვილს

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. შიშინაძე პასუხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 22/III 40 წ. ქალაქის ზომა 60×92
ხელმოწერილია დისაბექტად 13/IV 40 წ. ფორმათა რაოდენობა 20-გვ. 9¹/₂×14



3636

ლენინი

ოქტომბრის 70 წელი შესრულდა ლენინის დაბადებიდან. მან სულ 54 წელი იცოცხლა და ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გააკეთა ხალხისათვის.

როგორც პატარაობისას, ისე დიდობისას ლენინი სამაგალითო იყო. გიმნაზიაში ყველაზე კარგად სწავლობდა. როცა დაამთავრა, წარჩინებული სწავლისათვის ოქტომბრის მედალით დააჯილდოეს.

ბევრ საინტერესო ამბავს გადმოგვცემენ მისი სკოლის ამბანაგები. აი რას წერს ანდრეევი, ლენინის შესახებ:

„თავისი ბრწყინვალე უნარიანობით ვალოდია უცებ ვახდა პირველი მოწაფე, მაგრამ ის არა ჰგავდა იმ პირველ მოწაფეებს, რომელნიც დასვენების დროსაც წიგნებს ჩაჰკირკიტებენ.“

კარგ ამინდში, დიდი დატენების დროს, როცა მოწაფეები ეზოში გიმნასტიკის დაიწყებდნენ, ვალოდია ვასილკარი მოქნილობით ვარჯიშობდა ბაგირზე, ლერძა და კიბეზე.

მე კარგად მახსოვს, მიუხედავად გვიმაგობისა, ვალოდია ჯერ კიდევ დაბალ კლასებში

განიჩიხვოდა წესიერებით. ის ვერ იტანდა რაიმე უწყესრიგობას თავის მერხზე, რვეულები ყოველთვის ცალ მხარეზე ეწყო, წიგნები მეორეზე, საკალმე კი თავისი ფანქრებითა და კალმისტრებით შუაში ჰქონდა მოთავსებული. გაკვეთილის დროს უღიანოვი არასოდეს არ ცეცქობდა და არ ერთობოდა გარეშე საქმეებით. კალიგრაფიისა და ხატვის გაკვეთილებზედაც კი, რომლებიც ჩვეულებრივ აურხაურით ტარდებოდა ხოლმე, წყნარად იჯდა და ასო ასოზე გამოჰყავდა, ანდა ხატავდა მოცემული ნიმუშის მიხედვით.“

აღბათ, უმაღლეს სსსწავლებელშიც კარგად ისწავლიდა, მაგრამ ლენინი გამოირჩეხს ყაზანის უნივერსიტეტიდან, რადგან რევოლუციონერი იყო. რევოლუციონერები კი მეფეს ძალიან ეჯავრებოდა.

ლენინმა მინც მოახერხა უმაღლესი სსსწავლებლის დამთავრება: ორი წლის განმავლობაში განუწყვეტელი იმეცადინა, ჩააბარა ყველა საგანი და პირველი ხარისხის დაპლომი მიიღო. ლენინი შემდეგაც ბევრს მუშაობდა. არც ერთ წუთს არ კარგავდა. ციხეშიც კი არ იტყ...



ნება. ერთხელ მეფემ ციხეში ჩასვა ლენინი, თოთხმეტი თვე იჯდა პატარა საკანში. ტუსადს არც მელანს აძლევდნენ, არც კალამს, არც ქალღღს. მხოლოდ წიგნების კითხვა შეეძლო. ლენინს კი წერა უნდოდა. როგორ მოქცეულიყო? აი რა მოიგონა ლენინმა:

პურისაგან სამელნე გააკეთა, შიგ რძე ჩაასხა, კალამიც ნამალევად იზოვა და წიგნის სტრიქონებზე შუა დაიწყო წერა. თან კარბისაყენ გაიყურებოდა: ზედამხედველმა არ დამინახოსო. ამგვარად დაწერილ წიგნს არაფერი ეტყობოდა და თავისუფლად უკზავნიდა მეგობრებს. მათ კი იცოდნენ რძის მელნის საიდუშლოება: წიგნის ფურცლებს ლაშის ან სანთლის სიტბოზე დაიჭერდნენ და ნაწერი გამოჩნდებოდა.

ერთხელ ციხის ზედამხედველმა შენიშნა რომ ლენინი რალაცას წერდა. მაშინვე შევარდა საკანში და მიამხა.

— თქვენ რალაცას სწერთ, მაჩვენეთ ჩქარა! ლენინმა დინჯად აიღო სამელნე, ჩაიღვა პირში და დაღეკა.

— რას შევებით, სამელნეს რატომ ღეკავთ! — სიტყვა განცვიფრებულმა ზედამხედველმა.

— თქვენ ალბად თვალმა ზოგატყუათ. ეს პურია და არა სამელნე.

ზედამხედველმა იფიქრა: მართლა თვალმა მომატყუა თორემ როგორ შეიძლება სამელნის შექმნა და დამშვიდებული გავიდა საკანიდან.

ამაზე უფრო დიდი ვაჭირვება დასდგომია ლენინს მაგრამ გამოსავალი უპოვნია.

1917 წლის ივლისში დროებითმა მთავრო-

ბამ ბრძანება გამოსცა ლენინის დაპატიმრებაზე. პოლიცია ფეხზე დადგა, ჯაშუშები ამოქვედნენ. ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინი რუსულენოვანი ლოზუნგით ერთ ქოხში გადაიყვანა, მაგრამ მალე ამ ადგილზეც ექვს იღებდნენ: გადასწყვიტეს, ლენინი ფანეთში გაეგზავნათ. ვლადიმერ ილიჩმა ულვაში და წვერი მოიპარსა, პარიკი გაიკეთა და გვარი გამოიცვალა. რამდენიმე მუშის თანხლებით ლენინი უნდა მოსულიყო სადგურ უდლენაიაში, სადაც გამოიცილიდა მატარებელი და ნაცნობ მემანქანეს ჩაუჯდებოდა ორთქლმავალში, როგორც ცეცხლფარეში. ასეც მოიქცა როგორც კი შეჭერდა მატარებელი, საქმიანად ავიდა ორთქლმავალზე, იქიდან კი ნამდვილი ცეცხლფარეში ჩამოვიდა და ვაგონს მიამუხრა, რათა ორთქლმავალში მხოლოდ ერთი ცეცხლფარეში დარჩენილიყო.

მატარებლის გასვლას ათი წუთი უკლდა, როცა მემანქანემ მათკენ მიმავალი პოლიციელები შეამჩნია. ისინი საბუთებს ამოწმებდნენ და ლენინს ადვილად იცნობდნენ, რადგან მისი სურათი ხელში ჰქონდათ. ლენინი შეწუხდა. დრო აღარ ითმენდა. მემანქანე შეინძრა, უცებ მოხსნა ორთქლმავალი ვაგონებს და წყლის ასაღებად გააქანა ონკანისაკენ. ორთქლმავალი რამდენიმე წუთი იდგა ონკანთან და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა ორი ზარი დაირეკა. მოება თუ არა ვაგონებს, მაშინვე გასწია ფინეთისაკენ... სადგურზე დარჩენილი მუშები სიხარულით გააყურებდნენ სწრაფად მიმავალ ორთქლმავალს.

ასე გადაარჩა ლენინი დაპატიმრებას.



სედოვი



ჩრდილოეთში არის მხარე,
სად ზაფხულშიც თოვს და ცივა,
ზღვას შემზუის ქარი მწარედ,
მალლიდან კი თოვლი ცვივა.

მას არქტიკა ეწოდება,
არის მკაცრი, მიუვალნი,
მზის სხივებიც ვეღარ სწვდება,
იქ სულ ზამთარს ხედავს თვალი.

იქ ყინულზე მარტოღამარტო
დაბაჯბაჯებს თეთრი დათვი,
დათუნიას ყინავს, ათოვს,
გაუშლია თოვლზე თათი:

იმ მხარეში თურმე ძველად
სედოვს წასვლა უფიქრია,
მიაპობდა ტალღებს ძნელად,
სად ქარები ქრიან, ქრიან...

პოლუსისკენ მიდიოდა
რუსი ხალხის დიდი გმირი,
გულს სამშობლოს დარდი ჰქონდა,
არ უჩანდა ზღვას ნაპირი.

გემმა სვლა რომ ვერ შეიძლო
ყინულების ბზარვით, ტეხვით,
სედოვმა თქვა: — წავალ, ვინძლო
მივალწიო პოლუსს ფეხით!



ავად გახდა, მაგრამ მაინც
იგი უკან არ იხევდა,
ვინ იცოდა, გულად რაინდს
თურმე მწარე ბედი სდევდა.

შორს დალია გმირმა სული,
შორს მარხია მისი ძვლები;
მოკვდა გმირი მხეჩასული
და წავიდნენ წლები... წლები...

ახლა სედოვს სიყვარულით
ახსენებენ ჩვენში ხშირად,
ვინც სამშობლოს მისცა გული,
მას ყველა ცნობს ხალხის გმირად.

მის ბრწყინვალე სახეს ახლა
დაატარებს ზღვაში გემი,
ვერ ერევა „სედოვს“ ტალღა
ყინულების მსხვერფით, ცემით.

ქარიშხალი ბევრი ნახა,
ბევრჯერ თვლიდნენ განწირულად,
ოკეანეც გადალახა,
კვლავ დაბრუნდა შინ გმირულად.

თუ შორეულ თოვლის ველებს
შეეყინა ბევრი ცრემლი,
ახლა მამაც სედოველებს
კვლავ ზემით ხვდება კრემლი.

ახლა მზეც კი აღტაცებით
შლის სხივებით ცისარტყელას,
შინ დაბრუნდნენ ვაჟაკები
და ბელადი ჰკოცნის ყველას.



ჩემო ნორჩო მკითხველო, ერთ დროს მეც პატარა ვიყავი, საშინლად ცუდი და თავნება, რის გამოა არა ერთხელ ვყოფილვარ დასჯილი.

ძალიან ეშმაკი გოგონა ვიყავი. ჩემ ცელქობას ბოლო არ უჩანდა, ხან სკოლის დერეფანში მოსივრნე ბავშვებს დავეჯახებოდი და შევაშფოთებდი, ხან კიდევ ქუჩაში გავჩერდებოდი და ღრიალს მოვრთავდი. ჩემს კვიღებზე ბავშვები ჩემყენ გამოარბოდნენ. „რა მოგივიდა, რა გტკივა?“ — მკითხებოდნენ სიბრალოლოთ ტოლები.

— იფ, მოგატყუეთ! — შევძახებდი და ხარხარით ვგერბოდი ახალი ონაფრობის ჩასადენად. არა ნაკლებად ვაწუხებდი შინაურებს, ხან ჩემი უფროსი დის დედოფალას გავუტეხდი თავს და ვიკვლევდი, როგორ აღებდა და ხუჭკვდა დიდრონ შუშის თვალებს, ხან ბურთაობას ვთამაშობდი, რის შედეგად ან ფანჯარას ვიშხვერბლებდი, ან კიდევ სხვა რამე შუშის ნივთს.

„ეს რა გამიჩნდა!“ — წამოიძახებდა ხანდახან მამაჩემი, — რამდენს ვეჩიჩინები და ეს მინც თავისას აკეთებს. — „თავნება!“ — დასცენა ერთხელ მამოდ ჩემმა და მის შემდეგ სახლში მეტსახელოდ „თავნებას“ მიძახდნენ.

ჩემ ცელქობას ერთი ცუდი ზნე ჰქონდა: საშინლად უწესრიგო ვიყავი. წიგნებს, რომლებს ფურცლებზეც ხან ვირის თავს, ხან კი ენაგამოვადებული ბავშვის სურათს ნახავდით, ხან საღ მივავლებდი, ხან საღ.

ასეთ მდგომარეობაში იყო ტანსაცმელიც ჩემი დაძინების შემდეგ. ჩვენს ოჯახში ყოველ დღილს იწყებოდა ჩემს ნივთებზე ნადირობა, მე კი, სკოლაში დამიგვიანდებდა-მეთქი, ხმამალა ვტიროდი და კუთხიდან კუთხეს ვაწყდებოდი.

— საღ არის ჩემი ფეხსაცმელი, საღ არის ჩემი ქული? — ვწუწუნებდი შემინებული, სანამ ნივთებს მიგრაოვებდნენ.

— კარგი, რომ საცოდავი დედაშენი დროზე გარდაიყვალა და შენ უწესრიგობას არ მოგესწრო, — მეტყუდა ხანდახან მამიდაჩემი.

ასეთ სახითაო წუთებში თავს პატიოსან სიტყვას ვაძლევდი, დღეიდან ჰქუა მესწავლა, მაგრამ ბინდვებოდა, ისევე თენდებოდა, დაპირება მივიწყებოდა და ჩემს უწესოებას კი ბოლო არ უჩანდა.

ერთ დღეს ჩვენგმა გადაწყვიტეს ჩემთვის ჰქუა ესწავლებინათ. აღზე ამდგარიყვნენ და საღაც წახულიყვნენ.

გვიან გამომეღვიძა. სახლში სიჩუმე სუფევდა. წამოვვარდი, საათს თვალი შევეაღვი: ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა. ლოგინიდან ჩამოვსრი-ალდი და ფეხშიშველა შევცუნცულდი მეორე ოთახში.

— მამა, მამიდა! — ვიძახდი შემფოთებული. ამოვდი, ხმა არსიდან ისმოდა. — ნეტავ საღ დაიკარგენ? — გავივლე თავში, მაგრამ ფეხების დრო საღა იყო, ნივთების მომგრაოვებელიც არავინ მყავდა, დავტრიალდი ჯარასავით. ხან ერთ ოთახში გავვარდებოდი, ხან მეორეში. აი, უკვე ერთ ფეხზე ჩაცმული მაქვს, ქულიც დავიხურე; აი, პალტოსაც გავუყარე ხელები, კარიც დავკეტე, გასაღებიც შევიჩაბე.



— თქვენ გეგონათ, მარტო ვერას გავხდებოდით? — მუქარით შევიძახე ცარიელ ეზოს და კიშკრიდან გავვარდი.

ჩემი საყვარელი სკოლაც გამოჩნდა, კიბე ელვის სისწრაფით ავირბინე, კლასის კარები შევალე და გავქვევდი, სულს ძლივს ვიბრუნებდი. მასწავლებელი ჟურნალში რაღასაც წერდა, ჩემს შესვლაზე თავი ასწია და ცივად მითხრა:

— რატომ დაიგვიანე?

— ჩენი საათი გაჩერებულია, ბატონო, — ვიტყუე უცებ და გავწითლდი.

— გაიხადე და დაჯექი, — მიბრძანა მასწავლებელმა.

უკანასკნელი სიტყვა დათავებული არ ჰქონდა მასწავლებელს, რომ მე პალტო საკიდელზე ჩამოვაცვი და ჩემი ადგილისაკენ გავსწიე. უცებ აქა-იქ თავშეკავებულმა სიცილმა იფეთქა.

ყველა მე მომჩერებოდა და სიცილით იხლიჩებოდნენ. ამ დროს მეზობელი პერანგზე დამეჭიდა. — „ვიიმე!“ — წამოვიძიხე და აღვიღე შევხტი. უცებ ყოველივე ნათელი გახდა: სიჩქარესა და ტანსაცმელის ძებნას კაბის ჩაცმა და ევიწყებინა ჩემთვის. განცვიფრებული თვალები დამის პერანგს დავაშტერე, რაც ამდღომადღელ ჩემს ერთადერთ სამოსელს შეადგენდა.

თავში სიტყე ამივარდა.

— ხა-ხა-ხა-ხა! — კისკისებდნენ ჩემი ტოლები.

— რა მოხდა? — დაუქეა მასწავლებელმა ქეთევანმა.

ყველა მე მომჩერდა. ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— გამოდი! — მიბრძანა მასწავლებელმა. ადგილიდან არ ვიძროდი, რადგან მერხის ქვეშ ორნავე შიშის იფარებოდა ჩემი სასირცხვო მოჩუბი.

— გამოდი! — მიბრძანა ვაბრაზეტულმა მასწავლებელმა და ჩემკენ გამოვეშურა. წამოვდექი, კრემლები მახრჩობდა.

მასწავლებელმა ხელი მქლავში ჩამჭიდა და შუა ოთხში გამომათრია. აღბათ, მეტად სასაცილო სურათს წარმოვადგენდი, რომ მასწავლე-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელმაც ვერ შეიკავა თავი და ხმამაღალი კისკისით სკამზე დაეშვა. ირგვლივ ყველაფერი იცი-ნოდა, ფანჯრიდან მზეც რაღაც ალმაცერად მიტკერდა, მე კი აღმოვადებულ ლოყებზე მდულარე კრემლები დაპალუბით ჩამომდიოდა.

— ყოჩაღ! — დაასცნა ბოლოს მასწავლებელმა. — გაჩერდით, ბავშვებო, აქ სასაცილო არაფერია, პირით, სამწუხაროა. აიღე ჩანთა და შინ წადი!

ნელი ნაბიჯით, თავჩალუნული და შერცხვენილი მივაბიჯედი შინისაკენ.

ეს იყო და ეს. ამ შემთხვევის შემდეგ სრულიად გამოვიცვალე. ისე როგორ დავიძინებდი, რომ მეორე დღისათვის გულმოდგინედ არ დამემზადებინა საჭირო წიგნები და ტანსაცმელი. სკოლაშიაც თითოთი საჩვენებელი, სანიმუშო მოწაფე შევიქენი. ყველა ჩემს ქებაში იყო.

— შეხეთ, ეს თავნება როგორ გამოიკვალა, — ხშირად ჩამწვდებოდა ხოლმე ყორში.

იმ სამახსოვრო შემთხვევის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ყოველივე კარგად მიმდინარეობდა, მხოლოდ ერთი კული ჩვეულება დამრჩა: სახლიდან გამოსვლისას რამდენიმეჯერ უნდა გამეხსნა პალტო, რათა შემემოწმებინა, კაბა მეცეკა თუ არა.



წერილი ძია მოლოტოვს

მე კონვერტზე შენს მისამართს
რუსულად ვწერ, კარგო ძია,
დღეიკომ კი საამისოდ
დახმარება გამიწია.

დაბადების დღეს გილოცავ,
ჩავეინიშნავ ამ დღეს, საათს,
და გისურვებ, რომ ცოცხლობდე
კიდევ მრავალ ორმოცდაათს!

სტრიქონები მოგიძღვნიან
პატარების გულწრფელ სურვილს,

ჩვენს საზღვრებს ვინ რას დააკლებს
გმირთა რიცხვით შემობურვილს!

არმიელებს თვალს ვადევნებ,
სიმტკიცით რომ ჰგვანან მუხებს...
ეს წერილი რომ მიიღო,
წერილითვე მიპასუხე.

და თუ ქართულ ნაწერს ვერ ცნობ,
არ იფიქრო მასზე დიდხანს:
ძია სტალინს მიუტანე,
რუსულად ის წაგიკითხავს...

ილიკო აბაშიძე



1

პატარა რუსიკო ზის როიალითან, გვერდით
დღეა უზის და როიალზე უკრავენ.

როიალის ნოტების დასაწყობთან წამოსკუპე-
ბულა რუსიკოს განუწყრელი მეგობარი ფისუნია,
რომელიც შევიდან დაჰყურებს რუსიკოს, დარბა-
ისლურად კრუტუნებს და უსმენს.

მუსიკალური ოჯახი

რუსიკომ დედასთან გაცვეთილი გაათავა, ეცა
კატას, მიიკრა გულზე და აღერსიანი ხმით მი-
მართა: „აბა, ჩემო ცაცუ, მოიყვანე შენი პატარა
ფისოები და ახლა ჩვენ ვისწავლოთ. ჩემო
ციცანა, შენ პირველ ხმას იმღერებ; ციფუ, შენ
მეორეს; შენ, კრუტუნა, მესამეს, შენ-კი, ჩემო
ცაცუ, პიანინოს დაუკრავ.“

რუსიკომ ჩააცვა კატებს კაბა, საზეიმოდ გა-
მოაწყო, პატარა ციციანს ბანტი გაუკეთა, დედა
ცაცუს წამოსასხამით დაუმშვენა ბეჭები, ყველას
მისცა ნოტები, გარდა პატარა ციციანსი, რადგან
მან ჯერ კიდევ კითხვა არ იცოდა.

ცაცუს ოთხი შვილი ჰყოვდა-ორი ვაჟი და
ორი ქალი.

პატარა გოგონას ერქვა ციციანა, მეორე ქალს
ციფუ, მესამე ვაჟს—კრუტუნა და მეოთხე ვაჟს,
რომელიც ამჟამად სტუმრად იყო წასული, ბუტუ-
ნა. ის ვიოლინოს უკრავდა.

— აბა, ჩემო ფისუნებო, ახლა დავიწყით სწავლა. ნოტები ხომ დაგირიცეთ, ახლა იმღერეთ.

— ვიმღეროთ, ვიმღეროთ, — შესძახეს ყველამ ერთხმად.

— იცით, რა არის ნოტები? — ჰკითხა რუსიკომ.

— არა! — უპასუხეს ფისოებმა.

— წინათ არც მე ვიცოდი, მაგრამ მე რე დედიკომ მასწავლა, რომ ნოტები მუსიკალური ანბანი ყოფილა, ანუ მუსიკალური ნიშნები. ანბანი ხომ იცით, რაც არის?

— არა! — დაიკნაველეს ფისუნებმა.

— ანბანი ჰქვია ასოებს, რომლებითაც დიდები კითხულობენ წიგნებს. ჩემმა დედიკომ ისიც მითხრა: აი, ანბანი და აგერ მუსიკაცაო, ახლა ეს მოაზნადეო. ეს ის ნოტებია, რომელიც თქვენ გიჭირავთ.

— რა არის მუსიკა? — შეეკითხნენ რუსიკოს ფისოები.

— დედიკომ მითხრა, მუსიკა გულის ენა არისო. ჩვენ რასაც ვგრძნობთ, ეს მუსიკა არისო. მე რომ შენ დასაძინებლად „ნანას“ გიმღეროდი, ესეც მუსიკა არისო. აბა, ჩემო ფისოებო, ახლა ვიმღეროთ ანბანი, მუსიკა მოცარტისა.

— ვინ იყო მოცარტი? — შეეკითხნენ ფისოები.

— ოჰ, ჩემო ფისოებო, ჩემმა დედიკომ იმდენი რამე მიაშრო პატარა მოცარტზე, რომ მთელი დღე ვერ გავათავებ. რა კარგი და ნიჭიერი ბავშვი ყოფილა! შემდეგ ყველაფერს გაიმობზო, მაგრამ ჯერ მუსიკალური ანბანი უნდა ვისწავლოთ.

მუსიკალური ანბანი-კი შედგება მხოლოდ შეიდი ასოსაგან: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი.

ამით დავასრულოთ ჩვენი პირველი გაკვეთილი, მეორე გაკვეთილზე-კი გავაგრძნობთ, თუ ვინ არის მოცარტი. მაშინ გაიგებთ, რა კარგი და ნიჭიერი ბავშვი იყო მოცარტი.

2

ერთ საღამოს, როდესაც 8 საათი შესრულდა, მოცარტის დედამ ჩაის შემდეგ გაიყვანა 4 წლის ვოლფგანგი მეორე ოთახში დასაძინებლად, ზააწვინა საბავშვო საწოლში, რომელიც ყოველი მზრიდან ამალღებული იყო, რომ ბავშვი არ გადავარდნილიყო, და ტკბილი „ნანას“ სიმღერით დააძინა.



დღეა ადგა და ჩემი ნაბიჯით, რომ ვოლფგანგი არ გავღვიძებინა, გამოვიდა სასადილოში, სადაც მაგიდას შემოსხლამოდნენ მოცარტის მამა, დედა, ბიძა, 7 წლის და ანელიკა და ჩაის სმაში ტკბილად ბასობდნენ.

— ჩაიძინა ჩემმა ცუვრუმელა ბიჭიკომ, — თქვა დედამ. — აბა, ჩემო ანელი, ახლა შენი ჯგრია.

— ცოტა დაიცა, ჩემო დედიკო, დედა ძალიან საინტერესო ამბავს მიაშობს.

— კარგი, ჩემო ანელი, — უთხრა დედამ, — სანამ დედა ზღაპარს დაათვაფებს, მე ენახავ ჩემ ბიჭიკოს, საბანი ხომ არ გაიხიხადა.

და გავიდა ოთახიდან.

ცოტა ხნის შემდეგ დედა უცებ შემოვარდა გაფითრებული, თვალებდაჭყეტელი და შემინებული შეჰყვირა:

— მიშველეთ, ჩემი ბიჭიკო ოთახში აღარ არის!

ყველანი წამოკვიდნენ, მოცარტის მამამ აიღო ფარანი და დაუწყეს ვოლფგანგს ძებნა. ბევრი ძებნის შემდეგ შევიდნენ შემდეგ ოთახში და რა დაინახეს?

პატარა ვოლფგანგი ზის როიალთან და უკრავს თავის ახალ ნაწარმოებს.

— აჰ ხარ, შვილო? — წამოიძახა დამშვიდებით დედამ, — შენ ხომ გეძინა, ჩემო კუდრაკა?

— ვილაცამ გამაღვიძა, დედიკო, და მამინეე როიალთან წამომიყვანა. აბა, უკრი დაუგდე, რა კარგია, რასაც მე ვუკრავ!

აი, სწორედ ის ანბანი, ჩემო ფისუნებო, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ.



პატივებოდნენ, მუხლზე ისვამდნენ, ხელში ისევანდნენ; სათამაშოებით ავსებდნენ და ვინ იცის რამდენ ტკბილფულობას აკმევედნენ.

პატარა ვოლფგანგი როიალს უკრავდა პიანინოს
წლის ანელი კი მღეროდა.

ვოლფგანგი 8 წლისაც არ იყო, როდესაც დაიბეჭდა მისი პირველი ნაწარმოები ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო ხელოვნების ისტორიაში.

ვოლფგანგი 12 წლისა იყო, როდესაც მეფის შეკვეთით დაწერა ოპერა „ლა სემპლიჩე“, მაგრამ ეს ოპერა არ დაიდგა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მსახიობებმა იუკადრისეს ვილაც 12 წლის ბავშვის ნაწარმოების შესრულება.

ამს მოჰყვა მეორე ოპერა, მესამე და სხ. ვოლფგანგი 14 წლისა რომ იყო, დირიჟორად მიიწვიეს ქ. ზალცბურგში (თავის სამშობლო ქალაქში).

მიუხედავად ასეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა, კარგი დაკრისა და თავბრუდასახვევი კონცერტებით აღტაცებისა, ვოლფგანგ მოცარტი სერიოზულად სწავლობდა მუსიკას სახელგანთქმული მასწავლებლის მარტინის ხელმძღვანელობით.

მარტინი მოცარტს ისეთი მოწმობა მისცა, რომ ბოლონის სამეცნიერო აკადემიამ იგი თავის ნამდვილ წევრად აირჩია.

ვოლფგანგი მთელ თავის სიცოცხლეს დაუზარებლად მუშაობდა თავის თავზე, სწავლობდა და ვითარდებოდა.

ნიჰთან ერთად ვოლფგანგი კეთილი, მოსიყვარულე, გრძნობიერი ბავშვი იყო, უყვარდა მეგობრები და ცდილობდა თავისი ნიჭით, ცოდნით ყველას დახმარებოდა. უსაზღვროდ უზაროდა, როდესაც ვისმეს რაიმე სიკეთეს აღმოუჩენდა.

პატარა ვოლფგანგ მოცარტი ჯერ ოთხი წლისა იყო, რომ ასეთი კარგი სიმღერა შექმნა, თუშკა ჯერ კიდევ არ იცოდა ნოტების წერა.

ჩვენმა საყვარელმა ვოლფგანგმა ძალიან ადრე გამოიჩინა მუსიკალური ნიჭი; ჯერ კიდევ 5-6 წლისა იყო და ისე კარგად უკრავდა როიალს, რომ მისმა მამამ გადაწყვიტა საკონცერტოდ წაეყვანა თავისი შვილები უცხო ქვეყნებში.

ვოლფგანგ მოცარტი დაიბადა 1756 წლის 27 იანვარს ქალ. ზალცბურგში (გერმანია).

ვოლფგანგს პატარაობისას მამა ასწავლიდა მუსიკას. ბავშვი გასაკარგი სისწრაფით ითვისებდა გაცვეთილებს. მამა რომ ხედავდა ბავშვის ასეთ იშვიათ ნიჭს, მეტად სიამოვნებდა და თავის ზრუნვასა და მუყაითობას აორკეცებდა.

საკონცერტოდ წაიყვანა სხვადასხვა ქალაქებში, სხვადასხვა ქვეყნებში: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში. პაწია ბიტიკოს მსმენელნი ყველგან აღტაცებაში მოჰყავდა. მსმენელები თავიანთ თავს ბედნიერად თვლიდნენ; ვოლფგანგი ყველასთვის სანატრელი და ძვირფასი სტუმარი იყო. ბავშვს სასახლეში



თინკოს ქამაღი



თინას ჰყავდა მამალი,
ცივ წყალს ყელში ივლებდა
და რიყრაჭზე ხმამაღლა
სამჯერ დაიყვილებდა.

დაჰყვებოდა მეგობრებს —
ქოჩორას და ნაცარას,
თან უყვარდა ბეკეკას
ცელქს და წვერებცანცარას.

მაგრამ ერთ დღეს უფერად
ავად გახდა მამალი,
დატრიალდა თინა და
ვერ იშოვა წამალი.

ეს ამბავი საწყენი
მოხდა დილით ეზოში.
„მსურს ჩემი ხმა ისმოდეს
ამ ჩვენს სამფლობელოში!“ —

თქვა და პირი გააღო,
შემოსძახა: „-ყიყლი... ყოოოო!“
ღია პირში უფერად
ბზიკი შეფრენილიყო.

წუხს მამალი ლოგინში,
გვერდით უზის ნაცარა,
აქვე არის ქოჩორა
და თხა წვერებცანცარა.

ექიმებთან სასწრაფოდ
მეგობრები აფრინეს,
მაგრამ ბზიკი პირიდან
ველარ გამოაფრინეს.

მნახველები მოდიან —
იხვები და ქათმები,
ფისო დაღვრემილია,
ცრემლებს იწმენდს თათებით.

ექიმს ელოდებიან,
ექიმიც ცნობილი,
იქნებ რამე უშველონ,
მოარჩინონ ძმობილი.

ჰა, ექიმიც მოვიდა,
ექიმიც პაწია,
კოხტად გამოწყობილია
ფისო თვალებპარაწია.

თვალზე — სათვალეები,
თავზე — ქუდი მაღალი,
ზევით აუგრეხია
ულვაშები მაგარი.

გადმოიღო ექიმმა
ქაღალდები ნახაზი,
მამლის სიცხე ჩაწერა:
„ორმოცი და რვა ხაზი“.

გამოწერა ექიმმა
იშვიათი წამალი:
„ზოოპარკში სასწრაფოდ
წაიყვანონ მამალი“.

მოიტანეს საკაცე
ძველი, გადანამალი,
ასწიეს და ზედ დასვეს
ავადმყოფი მამალი.

წინ მიუძღვის თინიკო,
უკან — წვერებცანცარა,
მარჯვნივ არის ქოჩორა
და მარცხნივ კი ნაცარა.

საკაცე კი ყუზუას და
ფისოს მიაქვს პატარას,
უკან მისდევს ბატი და
იხვი ენატარტალა.

ზოოპარკში სტუმრების
ყველა მასპინძელია,
იქ გულუხვად დაუხვდნენ
დათვი, ციყვი, მელია.

მელაკუდამ იკითხა:
— რად წვეს კობტა მამალი? —
უპასუხა თინიკომ:
— ავად გახდა საწყალი!

— თუ ეგ არ მოვარჩინო,
მე არ ვიყო კაცია,

საქიროა მამლისთვის
კუქის ოპერაცია.

თქვა მელამ და თვალეგი
ეშმაკურად განაბა,
აკაკანდა მამალი,
ატყდა დავიდარაბა.

— არა, არა, არ მინდა, —
ძლივს ამბობდა მამალი, —
ხომ იკით, რაც იქნება
ცბიერ მელის წამალი?

შემკამს, შემახრამუნებს,
ნუ ენდობით მელასა,
ნუ დამღუპავთ, მიხსენით,
თქვენგან ვითხოვ შევლასა!

დაიჯერეს, ირწმუნეს
მამლის სიტყვა მართალი,
გაცუნცულდა მელია
ავადმყოფზე გამოწერალი.

მასპინძლებმა მოიხმეს
წერო ფეხებმალალი,
გრძელ ნისკარტით სასწრაფოდ
მოარჩინა მამალი:

ბზიკი გამოათრია,
აღარ უნდათ წამალი,
თინა გახარებული
მოდის თავის ამალით.





(ზღაპარი)

ზღვისპირად მკედლეების უბანში იდგა პაპუნა ბიჭის ქობი. მთელი უბანი იცნობდა პაპუნას მამას, ვაჟაკ ადოლას. ერთხელ საღამოთი ბაზრობიდან ბრუნდებოდა ადოლა, მგნით რომ მიუახლოვდა, მიზგიტიდან გადომდგარ მოლას ძახილზე მწარედ გაეცინა და მეგობარს უთხრა:

— მუხამედ-ბეგმა და მოლამ შექავეს სოფელი, ნეტავ თუ მოვეცურებით შავათ სიკვდილს? მუხამედ-ბეგის მოურავმა, კოკლუ ჰასანამ, ყური მოჰკრა ადოლას სიტყვებს. მეორე დღეს შეყარეს სოფელი. ბეგი ჩრდილქვეშ იჯდა ხალიჩაზე და ნარგილს ეწეოდა. გამოიყვანეს ადოლა და ბეგმა ბრძანა:

— დოსტაქაო, ამ კაცს გრძელი ენა აქვს, დაუმოკლე.

ხეზე ჩიკრულ ადოლას დოსტაქაბა შეკრული კრიკა ხანჯლის წვერით გააღებინა, ენას დასწვდა და ძირში მიჰკრა იგი. ხალხი შეინძრა. სამ დღეს ვეღო დილეგში უპატრონოდ ვაჟაკი ბოლოს ვერ აიტანა წამება და ვარდაიკვალა.

ადოლას დარჩა ობლები: პაპუნა ბიჭი და მთვარისა. როდესაც ყმაწვილი წამოიზარდა, დედამ მქეოთნე ოსტატს მიაბარა იგი. მთვარისა შინ შეელოდა.

გავიდა ხანი. პაპუნა ბიჭი წამოიზარდა. ოსტატმა შეიამხანავა იგი. მთელ სოფელში ბადანი არ ჰყავდა პაპუნას. მაღალი, მხარბეკვანიერი, შავვერემანი, ლაპაზი ბიჭი მნახველის ყურადღებას იპყრობდა. ქერივ-ობლების გამკითხავი, დაჩაგრულის მომხრე, კარგი მომღერალი და მოცეკვავე, იგი მთელ სოფელს უყვარდა. მხოლოდ მუხამედ-ბეგი არ სწყალობდა მას: სადღაც სოფლის დღეობაში ბეგის რჩეული ფალავანი წააქტა პაპუნა ბიჭმა.

იმ დღიდან გადაემტერა ბეგი. პაპუნამ იცოდა, რომ ბეგს არ უყვარდა იგი, სამაგიეროდ სოფელს უყვარდა ყმაწვილი. ერ-

თმა შემთხვევამ კიდევ უფრო გაამტკიცა ეს სიყვარული.

ერთ ქარიშხლიან ღამეს, როცა კოკისპირულად წვიმდა და ზღვა საშინლად ღმულოდა, პაპუნა ბიჭს მოულოდნელად ეწვია თავისი მეგობარი, ვაი მეთევზე. ვაიმ საიდუმლო გაანდო მეგობარს:

— ნავსადგურში ორი დღე ვაჭრების ხომალდები დგას. სასახლეში ბეგთან მე თვითონ ენახე სტამბოლელი ვაჭარი. ხონთქარს ძვირფასი ხალიჩები გამოუგზავნია ბეგისათვის. ვაჭარმაც თავის მხრივ ძვირფასი ქვები — შურმუხტო, ლალი და იაგუნდი მიართვა ბეგს. ბატონი ნასიმოვნებია. დღეს, როდესაც სასახლეში შევედი, ყური მოვკარი, რომ ვაჭარი ხარხარებდა: ვარსკვლავებივით ქალები გყოლია სოფელშიო.

იმ ღამეს დიდხანს ისაუბრეს ყმაწვილებმა. ნაშუალამებს ჩამოუარეს სოფელს და ყველა გააფრთხილეს:

— ქალები მთებში ვახიზნეთ, მუხამედ-ბეგს ვაჭარი ეწვია სტამბოლიდან მათ საყიდლად. დილთ ცხენოსნები თქარათჭურით შეიქრნენ სოფელში.



პაპუნა ბიჭის ბიჭში პირველად ჰასანა შეიქრა. მოუზრავმა ქობი დაათვალიერა და იყვირა:

— საღ არის, ბებო, შენი და?

— შინ არ გახლავთ. — დაასწრო პაპუნას დედამ, — მაყელის საკრეფად წაივინდენ.

— ტყუი, ბებერო ქოფაკო, გათენებამდე მაყელის საკრეფად რა უნდოდათ?! — იყვირა მოუზრავმა და მთარაბი ვადაუქრა მოხუცს. პაპუნა ბიჭი ვეფხვივით მოწყდა ადგილიდან და გცა მოუზრავს, მაგრამ ჰასანას მხლებლებმა სასწრაფოდ შებოქეს.

როცა მუხამედ-ბეგს წარუდგინეს პაპუნა ბიჭი, ბეგმა მრისხანედ ბრძანა:

— ჩაავდეთ დილეგში!

სოფელი წუხდა პაპუნა ბიჭის დაპატიმრებას. მუხამედ ბეგი გაბრაზებული იყო. ენატანია კოკლი ჰასანა დილიდან საღამომდე დაძრწოდა და თავისი მხლებლებით იკლბოდა სოფელს.

რამდენიმე დღის შემდეგ ქარი ამოვიარდა, საეკორო ხომალდებზე აფრები აუშვეს და ხელსაწყოები ვაჭრები უკან გაეშურნენ.

გავიდა ხანი. თითქო ყველაფერი მიწყნარდა. მუხამედ ბეგიც დამშვიდდა. სოფელში ამბობდნენ, ბეგიმეხუთე ცოლის შერთვას აპირებსო. ამით ხსნიდნენ ბეგის გუნების შეცვლას რადგან ხალხი ცოტათი დაწყნარდა, გაიხიზული ახალგაზრდობა თანდათანობით ბრუნდებოდა მთებიდან.

ერთ ღამეს სოფელში დაბრუნდნენ პაპუნა, მთვარისა და მისი მეგობარი ქალი, შავლეგ მკედლის ღამაში გოგონა მზევინარი. მთვარისა და მზევინარი გულითადი მეგობრები იყვნენ. სოფელში ამბობდნენ, მზევინარი მთვარისას სარძლოაო.

გაზაფხული იყო. ერთხელ, როცა სახლში მივიდა მზევინარი, დიანახა, მისი ხატურა აივნის ბოძს აპყლოდა და მერცხლის ბუდეს უთვალთვალდებდა. მერცხლები საწყალობელი ხმით ქუილინენ. კალათი დაღვა გოგონამ, იქვე ღობეს ჯოხი გამოსიტხა და ხატურა გაავლო. გახარებულმა დედა-მერცხალმა სასიამოვნო ხმით ჩაიგღურტულა:

— მზევინარ, დაურჩი დედ-მამას, გაიხარონ მათ, როგორც მე გამახარე დღეს! გაჭირვების დროს მომიხმე და შენი მშველელი ვიქნებიო.

მეორე დღეს სოფელში ხმა გავარდა, მუხამედ-ბეგი საქარწილოდ ეშხადებო. ასეთ დღეებში ბეგი ცდილობდა სათნო ყოფილიყო, ამიტომ

პაპუნა ბიჭი გაათავისუფლა. გამხარულმა იჯახა, როცა ყმაწვილმა თავისი გაჭირვება უხმოდ დედასა და დას, დედა დაფიქრდა, კერასთან დაკრილი ფიჩხიდან ერთი ღერი აიღო და მზევინარს უთხრა:

— შეგიძლია?! აბა, თუ გატეხ?

პაპუნას გაეცინა, დედის გაცვირვებით შეგება და ფიჩხი გატეხა. რამდენჯერმე გაუმეორა დედამ და ყმაწვილმა სათითაოდ დატეხა ყველა.

ბოლოს მოხუცმა რამდენიმე ფიჩხის ღერი აიღო, შეაერთა და შვილს უთხრა ისევ:

— ახლა ეს გატეხ!

გადასწია პაპუნა ბიჭმა, მაგრამ ვერ გატეხა. დედამ გამოარჩევა ის და უთხრა:

— გაიგე, შვილო, თქვენ, შენ და მამაშენი, სათითაოდ უწყვედით ბეგს წინააღმდეგობას და მან ადვილად გაგატეხათ. ხალხი ძლიერია, ბეგი და შოლა თითო-ოროლაა. საჭიროა საერთო ძალა და მტერი ადვილად დამარცხდება, ხალხს ვერ გატეხენ ბეგები!

პაპუნა ბიჭი ჩააფიქრა დედის სიტყვებმა.

გავიდა დრო. ერთ ღამეს სოფელში კვლავ უბედურება დატრიალდა. კოკლმა ჰასანამ და მისმა კაცებმა საფლოს უღამაზესი ქალები დაბოქეს და სასახლეში მიჰგვარეს მუხამედ-ბეგს. სოფელში ხმა გაერყედა; ბეგი ამ დღეებში კვლავ შოელის ვაჭრებს და ღამაში გოგონებით მათ უნდა მიჰყიდოსო. ბეგს განსაკუთრებით მზევინარი და მთვარისა მოსწონებოდა.

დაწყებდა სოფელი.

ერთ დღეს პაპუნა ბიჭი თავის მეგობარ გია მეთევზესთან წაივინდა ზღვისპირად. გია თევზაობიდან ბრუნდებოდა. დიდხანს ისაუბრეს იმ საღამოს დანაღვლიანებულმა მეგობრებმა და ბოლოს დაასკვნეს: გაეგებინებინათ სოფელი-სოფლის და განთიადისას თავს დასხმოდნენ მუხამედ-ბეგს სასახლეში.

ასეც მოიქცნენ. როცა ირიტრაჟა, სოფელი ფეხზე იღვა თოხებით, ბარებით, ფიწვლებით. ხალხი მიიწვედა სასახლისკენ.

პირველად პაპუნა ბიჭი, გია მეთევზე და შავლეგ მკედელი შეიჭრნენ სასახლეში. სასახლეში ყველა ფეხზე დადგა. ბოროტი ჰასანა ბრძანებებს სცემდა. ბეგი ახლად ამდგარიყო, ჯერ გონს კიდევ ვერ მოსულიყო. ხალხი ბოზოქრობდა. გაბაღდა ბრძოლა. თავგანწირულად ატრიალებდნენ ნაბეგს, ცელს. ამ დროს ვი-



სიღამოს ბეგის მოახლენი დააბატონდა სოფელმა და გასაყიდალ დატყვევებული ქალები გაათავისუფლა.

საქართველო
სსსრკ-ის
საბავშვო

გვიან, როცა მთვარე ამოვიდა, ბაღში მწვეინარი გამოჩნდა. ქალი პაპუნა ბიჭის ცხედარს ეძებდა და საწყალომდელი ხმით ტირიდა. ბოლოს მოჩხრიალვ ნაკადულის ახლოს მწვანე ბეჭობზე ბალახებში პაპუნა ბიჭის ცხედარი გაარჩია ტანისამოსით. დიდხანს ეძებოდა და ტირიდა. ქალს ბეგერი რამ აგონდებოდა, ერთხელ პაპუნა ბიჭმა ბეჭობაში თხის კუდს შეადარა მწვეინარის ნაწნავი, მაშინ ორივემ ბეგერი იცინეს ამბზე. რა ექნა მწვეინარს, უტუბ მერცხალი მოაგონდა. მთელი ღამე ტირიდა ქალი, დაბრახობდა პაპუნა ბიჭს და მერცხალს უხმობდა:

დაცა იყვირა: ბეგი მოდისო. პაპუნა ბიჭი წინ გაიქრა ხანჯლით და ვაეკურაღ შესძახა:

— დამიხვდი, მუხამედ-ბეგო!

მესამედ რომ მოუქნია ყმაწვილმა ხანჯალი, ბეგს ხნალი ვადაში ვადაუტყდა, პაპუნა ბიჭი მივარდა და მკერდში ჩასცა ხანჯალი. ხალხი ვათამამდა და კიეინით ვაეშურა წინ.

პაპუნა ბიჭი სასახლიდან გამოვიდა და დატყვევებული ქალების სადგომისაკენ ვარბოდა. სასახლის ბაღში ყვირილი მოესმა:

— ვერ წამიხვდი, წყულო, ვერა!

პაპუნამ ჰასანას ხმა იცნო, მოიხვდა, მგვრამ ვავარდა დამბახა და ყმაწვილი ყაყაჩოვბით მოფენილ მწვანე ხასხასა ბალახზე დაეცა.

— საზიზღარო, ეს რა ჩაიდინე?! მოისმა მეთევზის ხმა.

დღი და მალაქტიკირის ღობესთან წამოეწია კოქლს ვია მეთევზე და მთელი ძალიონით ჩასცა მკერდში ხანჯალი.

გია პაპუნა ბიჭს მივარდა. მგვობარი სიყვარულით იკრავდა მომაკვდავს გულში. პაპუნა ბიჭი სისხლიდან იღლებოდა და მიღუული ხმით ჩურჩულებდა:

— რა დროს გშორდებთ, ბიჭებო,

როს დღე ბნელდება მტრისაო.

ხალხში ნაწრთობი ფოლადი

ყუაპირულად ტრისაო.

ძლიეს დაბოლოვა პაპუნა ბიჭმა და ვათავდა. წითლად შეღებილიყ ყმაწვილის სისხლით აქამდე თალხი ფერის ყაყაჩოები.

სადა ხარ, ვავიზიარო
დარდები მწუხარ გულისა,
კუდმაკრატელა მერცხალი,
სტუმარო ვაზაფხულისა?!

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით შეეტყო მერცხალს მწვეინარის ძახილი და როდესაც განთიღმა ვარდისფერად შეღება ცისკიდური, იგი მოფრინდა, იქვე მალალ ბუჩქზე ჩამოჯდა, ქალს ჰიკიკით მიესალმა, ნისკარტით ლერწმის ფოთოლი ვადასცა და სასიამოვნო ხმით ჩაეღურტულა:

— ფოთოლი შორეული აფრიკიდან მომიტანია, სახეზე მოუსვი, უებარია და ვანკურნავსო.

ქალი ასეც მოიქცა. პაპუნა ბიჭი წამოდა და მწვეინარს უთხრა:

— კარგახანს მძინებიაო!

ამის შემდეგ სოფელში მოიპო ბეგისა და მოლას ხსენება.

სულ მალე მწვეინარი და პაპუნა ბიჭი დაქორწინდნენ. მთავარისაც ვია მეთევზეს ვაქვდა ცოლად. ქორწილი ერთ დღეს ვადაიხადეს და მთელი სოფელი ესწრებოდა; ხოლო ყაყაჩოს, მანამდე თალხისფერ ყაყაჩოს, ფერი შეეცვალა: იმ დღიდან, როცა პაპუნა დაქრეს, წითელი ფერი ვადედა, ხოლო გული კი თალხი დარჩა, რადგან პაპუნა ბიჭის სისხლის წვეთები ქია მიის დასცემოდა ზურგზე, რომელიც მაშინ ყაყაჩოს გულში იჯდა თურმე და ნექტარს წუწნიდა.





(დასასრული*)

ჩ ა რ ი ლ ი

აი რისგან ელის ხშირად ჩვენს ხალიჩებს განსაცდელი, აი ამგვარ პეპლებისგან იმჩინება ტანსაცმელი.

აქ რომ ხელავთ ბეწვის მიღებს, თითქოს რაღაც ძეხვი არი, შიგ პეპლების მატლები ზის, ჭია თექვსმეტფხიანი.

როგორც ჩნდება კვერცხებიდან, ქსოვილს მახვილ ყბებით ცელავს და დაღვრილ ბეწვს იკეთებს თვის ბუდედ და სამოსელად.

ამ მილს იგი თან ატარებს, სანამ პეპლად გალიქცევა, თავს გამოყოფს, ქსოვილს ჰკამს და მერე სხვაგან გალიწევა.

ბოჩბალა მოზა

ეს ობობა მანე მწერებს რომ გვაკილვებს, კარგად ვხედავთ, მაგრამ ქსელი თუ ვიხილეთ, მაინც მყისვე ჩამოვხვეტავთ.

ნახეთ, როგორ ოსტატურად დაუხლორთავს ჭერში ქსელი, კუნძულში კი თვით ობობა მიბაღულა და მსხვერპლს ელის.

როცა ქსელში განწირული მოხვდებიან კოლო-ბუზი, მივარდება, მხამით მოკლავს და სისხლს მყისვე გამოწუნის.

ამინდაც ცნობს: თუ ბინიდან თავს გამოყოფს—ღარი არი; თუ თავს შერგავს—ადარია, ან ამინდი კარიანი.

ჯანიანი მოზა

ამ ობობას წერტილების უბრწყვიალებს ჯანიანი ზურგზე, ქარიანი აღვილებში ცხოვრობს, მუსრავს კოლო-ბუზებს

ქსელს რომ აბამს, ხიდან ხემდე თუ მანძილი არის გრძელი, ხიდან ხემდე უცნაურად დაქანაობს თავის ქსელით.

მწერს რომ ნახავს ქსელში გაბმულს, მისკენ წავა ნელანელა: გაიხლოართოს, ვერ განძრვებს მსხვერპლი თავის დასახსნელად.

თუ ძალიან არა ჰშია, დახლოართავს და ტოვებს მაშინ, ბზიკ-ფუტკრები ეჯავრება, ეხმარება თავდახსნაში.

მხარა (ბოსტანი)

წინა ფეხებს, მკვრივს და ძლიერს, იგი ხმარობს როგორც ეწოს, რომ მცენარის მან ფესვები გამოხრას და გამოჩინოს.

შეუძვრება სიმინდს ფესვში, ან ბოსტნეულს ჩამოჰყვება, გამოხრავს და ეს მცენარეც ზეზეურად ჩამოხმება.

ასეულებს თავის კვერცხებს მიწის ხვრელში ის ათავსებს, ამ მავნებელს შეურნენი უმღერიან ჩვენში ასე:

„მხარა მიდის თავის სახლს, მიდის, მიუხარია, ვინაც იგი ვერ მოკლა, ვეღარ გაუხარია“.

* იხ. ჟურნ. „ოქტომბრული“, № 3.

მეოცნისა და მუხომე

ბავშვების საყვარელ მწერალს, ილია სიხარულიძეს, ჩვენი ბედნიერი ნორჩი თაობისათვის მრავალი შეხანიშნავი ლექსი აქვს დაწერილი ილია სიხარულიძე მწერლობასთან ერთად ეწევა მასწავლებლობასაც. ამ დარგში მის მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდება. იგი კარგად იცნობს პატარების ხასიათს, მათ ბუნებას. მისი ლექსები ბავშვების ბუნების ცოდნის ღრმა საფუძველზეა დაწერილი.

მართალია, ბავშვებისათვის წერა მწელია, რადგან აქ ანგარიში უნდა გაეწიოს ასაკსა და სიტყვიერ მარაგს, მაგრამ ამის მიუხედავად ილია სიხარულიძე მშვენიერ ლექსებს წერს.

ილია სიხარულიძემ თავიხი სამწერლო მოღვაწეობის ხანგრძლივ მანძილზე რამდენიმე კარგი საკითხავი წიგნი გამოისცა, მაგალითად: „პურის მარცვლის თავდადასავალი“, „ბუნების გამოღვიძება“, „მზია, ბუზი და წიწილი“, „ანთელას ფისო“, „ძველი და ახალი თბილისი“, „ოქტომბრის ყვეილები“ და „საპაეო განგაში“. მრავალი ბავშვის ხელიდან ხელში გადასულა ეს წიგნები და მრავალ საინტერესო საკითხზე დაუფიქრებია ნორჩი მკითხველი.

ილია სიხარულიძის ცოცხლად და მკვირცხლად დაწერილი ლექსები საყვარელია პატარებისათვის, იმიტომ რომ იქ მათა ცხოვრებაა მოცემული. მისი ლექსები მოგვითხრობენ ჩვენი დიად ბედნიერ სამშობლოზე, ბუნებაზე, ჩვენი ქვეყნის თავდაცვაზე, სკოლაზე, შრომაზე, ყოველგვარ კეთილსა და სასარგებლო საქმეზე.

ძალიან კარგი ლექსია „პაწაწინა ცილა“. ეს ლექსი პატარაა, მაგრამ მასში ბავშვის სკოლისაკენ გაზრდების მშვენიერი სურათია დახატული. ცილა დილით აღრე, ადგა, ჯერ ფეხსაცმელი გაიწინდა, მერე ხელ-პირი დაიბანა, კბილიც გაიკრიალა, ხოლო სკოლაში წასვლის წინ:

„გაკეთილებს იმეორებს,
ლექსი ჩაწერიალა“

მერე კი:

„სკოლისაკენ წაცუნკულდა,
კაბა წააფრიალა!“

მიმზიდველად დაწერილია, „მზია ბუზი და წიწილი“. თვითონ შინაარსიც საინტერესოა. მზიან რქეს სემს, ბუზი თევზთან მიცოცდება, ბავშვს ეხიზლება ეს ბუზი, თავიდან უნდა მოშორება, მაგრამ ისევ მის თევზთან მოდის. მ ეშვს შუბლზე აჯდება ბუზი. მზ ამ მოუქნია ხელი, ბუზი აფრინდა, გაშლილი ხელი შუბლში მოირტყა. რძით გამაძლარი ბუზი მოშორებით დაჯდა ამაყად, თითქოს დასცინოდა მზიას: ხომ ვერაფერი დამაკელიო, შემდეგ ძირს. ჩაუჩინდა, აქ წიწილი განდა, მიეპარა ბუზს, დაპყრა ნისკარტი, დიჭირა და გადაუკლაა. მზის ვაეცინა:

„თქვა: წიწილი, ხმა წიწილი,
რა ყოფილა, რა ყოფილა!
თავიც დაიკმაყოფილა,
და ბუზიდაც მომაცილა“.

სკოლამდელებისათვის ეს პატარა პოემა ძალიან საინტერესო საკითხავია. ასევე კარგია



ილია სიხარულიძე

„ნათელას ფსიკა“. ილია სიხარულიძის ყოველი ლექსი მიმართულია იქითკენ რომ ბავშვს გამოუმუშაოს ყოველგვარი კარგი ჩვევა.

იშვიათი ოსტატობით არის დაწერილი ლექსი „გია“. ამ ლექსში პატარა ბავშვის ბუნება შესანიშნავადაა გადმოცემული. გიას თავისებურად ესმის, თუ რად უნდა თავი, თვალი ან ცხვირი. ამიტომ იყო, რომ ეს ლექსი, ისე როგორც „უჩა“ და სხვა მისი ლექსები, უცებ გავრცელდა სკოლებში და საბავშვო ბაღებში.

ილია სიხარულიძეს ემარჯვება აგრეთვე ბელადებზე და რევოლუციურ დღესასწაულებზე მოხდენილად წერა, ასეთია „ლალი მოსკოვში აპირებს“.

ლექსში „საპირველმისო“ მშვენივრად არის გადმოცემული ის დიდი სიხარული და აღტაცება რასაც ამ დღესასწაულზე განიცდიან ბავშვები. ილია სიხარულიძე ყველა იმ საკითხზე, რომელიც კი ჩვენს დროს ახასიათებს. ამიტომ მას თავისი მშვენიერი ლექსებით სკოლამდელი ბავშვები ჩვენი ცხოვრების შუაგულში შეჰყავს.

ჩვენი საყვარელი პოეტი, ილია სიხარულიძე, თითქმის სამი ათეული წელი მოღვაწეობს, მაგრამ ის დაღლას არა გრძნობს, დღესაც დიდი აღფრთოვანებით მუშაობს ბავშვებისათვის. მას კიდევ მრავალი შესანიშნავი ნაწარმოების შექმნა შეუძლია.

ორი ბოთლი



ირლანდიური ზღაპარი ინგლისურიდან თარგმნა ბ. ძარტყელიშვილმა.

ოდესღაც ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი გლეხი მიკი ფლანი. ერთხელ ორი წლის წვიმიანობამ მოსავალი ისე გააფუჭა, რომ მიკი და მისი ცოლი ულუკმაპურად დარჩნენ.

ბოლოს ცოლმა უთხრა: მიკ! ჩემო კარგო, წაიყვანე ჩვენი ძროხა ბაზარში და ნახე, იქნებ კარგ ფასად გაყიდო.

მიკი ბაზარში წავიდა. გზაზე უცნაური ნაცრისფერი კაცუნა შეხვდა, რომელმაც უთხრა: „რა მშვენიერი ძროხა გყავს, მიკ!“

„ღიად, მშვენიერი ძროხაა. ხომ არ ფიქრობ იყიდო?“

პატარა კაცუნამ მიკს ძველი ბოთლი უჩვენა და უთხრა:

„მაგ ძროხაში ამ პატარა ძველ ბოთლს მოგკეტე.“

მიკი გაბრაზდა და უპასუხა: „სულელი ხომ არა ხარ?! ნუთუ გგონია, ამისთანა მშვენიერ ძროხას მაგ ძველ ბოთლზე გავცვლი?“

„ოპ!“ — უპასუხა კაცუნამ: „ეს უბრალო ბოთლი როდია! ამ ბოთლს შეუძლია სულ მოკლე ხანში გაგამდიდროს, და აი

როგორ: ბოთლი მიწაზე უნდა დადვა და თქვა: „ბოთლო, შენი მოვალეობა შეასრულე!“ ამის თქმის შემდეგ ნახავ, რაც მოხდება“. მიკი დათანხმდა, ძროხა კაცუნას მისცა, ძველი ბოთლი კი შინ წაიღო. მიკის ცოლმა ძროხის მაგიერ რომ ძველი ბოთლი დიანახა, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ მიკმა ყველაფერი უამბო და ქალი ისეთივე ნასიამოვნები დარჩა, როგორც მიკი.

მიკმა ბოთლი მიწაზე დასდო და უთხრა: „ბოთლო! შენი მოვალეობა შეასრულე!“ უცებ ბოთლიდან ორი ნაზი ფერია ამოვიდა და მიკს შეეკითხნენ: რა გნებაესო? მიკმა უთხრა: „შინ საქმელი არ მოგვეპოვება და ერთი კარგი სადილი მოგვეტანეთ. ფერიებმა სასწრაფოდ გაშალეს სუფრა, დააწყეს საქმელებით სავსე თევზები და თვითონ ისევ ბოთლში ჩაძვრნენ. მიკმა და მისმა ცოლმა ისეთი კარგი სადილი ჭამეს, როგორც თავის დღეში არა ჰქონიათ.

რაც ხანი გადიოდა, ცოლქმარს მით უკეთესად ცხოვრობდა. ხალხს უკვირდა, საიდან შოულობენ ამდენ ფულსო.



მაგრამ მიკი ბოთლზე არავის არაფერს ეუბნებოდა.

მიკის მეზატონე ძალიან ბოროტი კაცი იყო.

მან მიკი ინახულა და ჰკითხა: საიდან მოუღობ ფულებსო?

პირველად მიკმა არ გაუხილა, მაგრამ ბატონი ისე ჩააცივდა, რომ ბოლოს ყველაფერი უამბო.

—მიკ!—უთხრა მეზატონემ: ეგ ბოთლი მე მომეცი და სამაგიეროდ ჩემგან ის მიწა მიიღე, რომელზედაც ცხოვრობო.

მიკმა ცოტა იფიქრა და დათანხმდა. მაგრამ დიდი შეცდომა მოუვიდა: ბატონმა ბოთლი წაართვა, მიწა კი არ მიცა.

მიკი და მისი ცოლი თანდათან ისე გაღარიბდნენ, რომ ერთი ძროხის მეტი არაფერი დარჩათ.

ცოლმა მიკს ისევ უთხრა: მიკ! წაიყვანე ძროხა ბაზარში და ნახე, იქნებ კარგ ფასად გაყიდო. მიკი წავიდა იმ იმედით, რომ პატარა ნაცრისფერი კაცუნა ისევ შეხვდებოდა. მართლაც, ის იმავე ადგილას დახვდა და უთხრა: მიკ! რა მშვენიერი ძროხა გყავს! ძველ ბოთლზე ხომ არ ამიცილებო?

„როგორ არა!“—სიხარულით მიუგო მიკმა და ძროხა და ბოთლი გაცვალეს.

მიკი პოთლით ხელში შინსაკენ გაიქცა. მისვლისთანავე ბოთლი, მიწაზე დადვა და უთხრა: ბოთლო, შენი მოვალეობა შეასრულეო. ღვალის დახამამებაზე ორი მსხვილკეტიანი უხარმაზარი კაცი ამოხტა ბოთლიდან და საწყალ მიკსა და მის ცოლს იქამდის სცემეს, სანამ იატაკზე არ დასცეს, მაშინ კი კაცები ისევ ბოთლში ჩავიდნენ. როგორც კი თავი უკეთესად იგრძნო, მიკი წამოდგა, ბოთლი პალტოს ქვეშ დამალა და მეზატონესთან წაივდა. ბატონი მეგობრებთან ერთად სუფრას შემოსჯდომოდა და სადილობდა.

—რა გინდა, რისთვის მოსულხარ?— შეეკითხა მიკს მეზატონე.

—არაფერი, —უბასუხა მიკმა, — მხოლოდ მე ახლა მეორე ბოთლი მაქვს, პირველზე ბევრად უკეთესი.

— აბა, ერთი გვიჩვენე, რის გაკეთება შეუძლია მჯავს?—უთხრა მეზატონემ.

მიკმა ბოთლი იატაკზე დადვა და უთხრა: ბოთლო, შენი მოვალეობა შეასრულეო. ამ სიტყვებზე ორი მსხვილკეტიანი უხარმაზარი კაცი ამოხტა ბოთლიდან და ბატონსა და მის მეგობრებს იქამდის სცემეს, სანამ ყველანი იატაკზე არ დასცეს.

—გაანჩრე, მიკ!—ვიროდა მეზატონე. მიკმა უბასუხა.




—ესენი არ გაჩერდებიან, სანამ ჩემ პირველ ბოთლს უკან არ მივიღებ.

—ის აგერ თაროზე დგას.

—მიეცით ბოთლი, მიეცით, სანამ ცემით დავიხოცებოდეთ! — ყვიროდა ბატონი. ამგვარად მიკმა თავისი პირველი ბოთ-

ლი დაიბრუნა. ხელკეტანები მაშინვე ბოთლში ჩახტნენ და მიკი ორივე ბოთლით შინ დაბრუნდა.

ამის შემდეგ მიკი თავის ბოთლებს არ ასოცდეს არ იშორებდა და ის და მისი ცოლი სულ ბედნიერად ცხოვრობდნენ.



საბავშვო დაკავება

თამაშობა

სურათის ქვემო ნაწილში მარცხენა მხარეზე ტანკი დგას. მან უნდა გადალახოს მდინარე და გავიდეს გზაზე. ხეები ტანკს ვერ შეაჩერებს, მაგრამ ლოდებზე კი ვერ გადავა. ამიტომ უნდა გამოინახოს ლოდებ შორის საკმაოდ ვანიერი გასავალი, რათა ტანკმა გზას მიაღწიოს.

გამოჭერი მუყაოსაგან წრე იმ ზომისა, როგორც აქ არის დახატული, და აცურე იგი გზამდე იმ ადგილიდან, სადაც დგას ტანკი.



ხადმოხაერთა საყუარაღებორ

ქურნალი „ოქტომბრელი“ ზაფხულის თვეებისათვის ვისაც გაქვთ გამოწერილი და ზაფხულისათვის მისამართს იცვლით, მაშინ მიეცით თქვენი ახალი მისამართი იმ საფოსტო განყოფილებას, საიდანაც გქონდათ გამოწერილი, და ქურნალს თავის დროზე მიიღებთ.

რედაქცია.